№ 261 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მან. სამშაბათი 18 ნოემბერი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი, ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ეგლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

სამშაბათს, ნოემბრის 18, მე-3 გასტროლი პეტროგრადის მუსიკალურ დრამის მსახიობის მ. ს. დავიდოვას **კარმენი.** ოთხშაბათს, ნოემბრის 19-ს, „აბესალომ და ეთერი“. ხუთშაბათს, ნოემბრის 20-ს, „პიკის ქალი“, ლიზა—ალეშკო. გრაფინია—ინსა, პოლინა—გლაზ, გერმანი—სარაჯიშვილი, ელეცკი—თარხან მოურავი, ტომსი—საბინინი. 135

საქართველოს ცენტრალური კოოპერატივთა კავშირის დრამატიული სტუდია.

## არტისტიული საზოგ. თეატრი

ოთხშაბათს, გიორგობისთვის 19—1919 წ. საღამოს 8 საათზე

ედ. როსტანი **თეთრი ყვავილი** ერთ მოქმედებად

ბრიო **სარწმუნოება.** პიესა 2 მოქმედებად.

პიესისათვის დამზადებულია ახალი დეკორაციები და კოსტიუმები.

რეჟისორი გ. ჯაბადარი. რეჟისორის თანაშემწე გ. ერისთავი.

ბრბოს ხელმძღვანელი შ. ბერიშვილი. მეორე ზარის შემდეგ დარბაზში არავინ შეიშვება.

კავკასიაში ტყავისა და ჩულის წარმოების აღებ-ხანოვის სააქციონერო საზოგადოება ამით აცნობებს ბ. ბ. აქციონერებს, რომ თანახმად წესდების მე-50 §-ისა იწვევს

## საგანგებო საზოგადო კრებას

ბ. ბ. აქციონერებისას, ხუთშაბათს, დეკემბრის 18-ს, დღის 1 საათზე ტფილისის ვაჭართა ბანკის ბინაზე, ერევნის მოედანი, № 3. განსახილველი საგნები: 1. წესდების ზოგი პარაგრაფების შეცვლა. 2. საზოგადოების თანხის გადიდება. საზოგადოების პირველ გამოცემის აქციები, რომლებიც ხმის უფლებას აძლევენ, ან მათ მაგიერ სახელმწიფო და საკრედიტო დაწესებულებებიდან მიღებული მოწმობა, რომ აქციები მიღებულია შესანახად ან დაგირავებულია, აქციების №№ დანომრილებით ჩვენებით უნდა წარედგინოს იქნეს გამგეობაში არა უგვიანეს 15 დღისა საზოგადო კრებამდე. დროებითი მოწმობების წარმოდგენა კი, მეორე გამოცემის აქციებზე, როგორც სახელობითის, საჭირო არ არის, რადგან მათი პატრონები შეტანილია აქციონერთა სიაში. პირველი გამოცემის აქციების, ან მათ მაგიერი მოწმობების მიღება შეიძლება საზოგადოების მთავარ კანტორაში მუშაობის დროს, ვორონცოვის ქ. საკ. სახლი და აგრეთვე ტფილისის ვაჭართა ბანკში. მიღების ვადა ხუთშაბათამდე 4 დეკემბერი დღის 1 საათი. 117 1—1

## ეროვნის საადგილ-მამულო განყოფილებას და სამაზრო კომისიას.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში ცნობები მოდის, რომ მამულის მიღებას ზოგ ადგილას წარმოებს მიწის მზომელი აწარმოებს, ზოგიერთ შემთხვევაში ეს იწვევს ბოროტ მოქმედებას: მემამულეებს უტოვებენ ზედმეტ ნორმებს, არ ხდება ფაქტიური გამორკვევა კერძო პირთა მიწათმფლობელობის რაოდენობისა და საზოგადოთ რეფორმის აზრი და მნიშვნელობა, მახინჯდება, რაც სამართლიანად იწვევს საყვედურს და უკმაყოფილებას მცხოვრებლებში.

მივაქცევ რა ამას თქვენს ყურადღებას დაბეჯითებით მოგითხოვ, რომ მიწების მიღება განაწილება ყველგან და ყოველთვის ხდებოდეს თანახმად კანონისა და ინსტრუქციისა. კერძოთ, მამულების ჩამორთმევის დროს აუცილებლათ უნდა იხელმძღვანელოთ 1919 წლის 15 აპრილის ინსტრუქციის მე-3 მუხლით. ამ ინსტრუქციით მამულის მიღებას კომისიაში უსათუოდ უნდა შედიოდეს თავმჯდომარეთ სამაზრო კომისიის მდივანი, წევრებათ მიწის მზომელი, ერთ-ერთი წევრი სამაზრო კომისიისა და სოფლის კომისარი.

აქტი ყველას მიერ ხელმოწერილი უნდა იყოს. მამულის მიღების დროს ეს პირები აუცილებლათ უნდა დაესწრონ. საადგილ მამულო განყოფილების ინსტრუქტორები ვალდებული არიან მუდმივ ადევნონ თვალყური კომისიების მუშაობას და შენიშნული უწესოებანი და დეფექტები დაუყონებლივ გაასწორონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პირადათ აგებენ პასუხს კომისიების უწესო მოქმედებაში.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ ენერგიული ზომები მიიღოთ კომისიების მუშაობის წესიერ კალაპოტში ჩასაყენებლათ და კანონისა და ინსტრუქციების ცხოვრებაში გასატარებლათ. ამ გაფრთხილების შემდეგ მე იძულებული ვიქნები სასტიკი ზომები მივიღო. იმ დაწესებულებათა და პირთა წინააღმდეგ, რომელთაც კანონით რეფორმის გატარება დავალებული აქვთ და თავისი დაუდევრობით და ბოროტი განზრახვით საქმეს აფერხებენ და კანონს არღვევენ.

დაინტერესებულ პირთ და დაწესებულებებს ვთხოვ მათ მიერ ჩადენილი უკანონობა და უწესოება მაცნობონ პირადათ მე ან სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებას.

132 მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

## სახელმწიფო კონტროლის დროებითი შტატი.

| თანამდებობის სახელწოდება | რიცხვი | თვიური ჯამაგირი თვითეულის | წლიური ჯამაგირი თვითეულის | წლიური ჯამაგირი ყველას | ყველას 1 თვის ჯამ. წლის დამატება |
|---|---|---|---|---|---|
| ჯამაგირს უნიშვნავს საკანონმდებლო დაწესებულება. | | | | | |
| სახელმწიფო კონტროლიორი | — | — | — | — | — |
| სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი | — | — | — | — | — |
| საქმეთა დირექტორი | 1 | 4000 | 48000 | 48000 | 12,000 |
| ვიცე-დირექტორი (ს. გამ) | 3 | 3500 | 42000 | 126,000 | 31,500 |
| უფროსი რევიზორი | 25 | 2700 | 32400 | 810 000 | 202 500 |
| მათგან, როგორც განყოფილების უფროსს | 20 | 300 | 3600 | 72,000 | 18,000 |
| რევიზორი | 47 | 2400 | 28800 | 1,353,600 | 338 400 |
| რევიზორის თანაშემწე | 74 | 1800 | 21600 | 1 598,400 | 399 600 |
| მოანგარიშე მოხელე | 58 | 1400 | 16800 | 974,400 | 243,600 |
| მდივანი | 1 | 2400 | 28800 | 28,800 | 7.200 |
| საქმის-მწარმოებელი | 2 | 1800 | 21600 | 43,200 | 10,800 |
| რეგისტრატორი | 1 | 1500 | 18000 | 18,000 | 4,500 |
| რეგისტრატორის თანაშემწე | 3 | 1200 | 14400 | 43,200 | 10,800 |
| არქივარიუსი | 1 | 1500 | 18000 | 18 000 | 4.500 |
| გადამწერი (6 კაცი) | — | 1100 | 13200 | 79,200 | 19,800 |
| კანცელარიის მოხელე (35 კაცი) | — | 1100 | 13200 | 462,000 | 115,500 |
| მიკრიკი და დარაჯი (25 კაცი) | — | 900 | 10800 | 270,000 | 67,500 |
| საკანცელ. და სამ. ხარჯ. | — | — | — | 150,000 | 37,500 |
| გათბობა და განათება | — | — | — | 51.000 | 12,750 |
| ბინის ქირა | — | — | — | 75,000 | 18,750 |
| შემწეობა მოსამსახურეებს | — | — | — | 36.00 | 9,000 |
| საგზაო ხარჯი | — | — | — | 500,000 | 125,000 |
| ჯამი... | | | | 6.756,800 | 1689200 |

1919 წ. ნოემბრის 4-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

### ოფიციალური განყოფილება.

## კანონი

### სახელმწიფო კონტროლის შტატის დამტკიცებისა.

აწინდელ სათანდო კანონთა გასაუქმებლად, შესაცვლელად და დასამატებლად დაწესდეს შემდეგი:

1. გაუქმებულ იქნეს ამა 1919 წლის ოქტომბრის 1 დან საქართველოს პარლამენტის მიერ 1918 წლის დეკემბრის 6 დამტკიცებული სახელმწიფო კონტროლის შტატებით დაწესებული ჯამაგირები მოსამსახურეთათვის და კონტროლის საჭიროებისათვის განსაზღვრული თანხები საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯებისათვის, გათბობა-განათებისათვის, ბინის ქირად, მოსამსახურეთა შემწეობისა და საგზაო ხარჯებისათვის.

2. ნაცვლად გაუქმებულ ჯამაგირებისა და სხვა და სხვა საჭიროებისათვის განსაზღვრულ თანხისა (მუხ. 1 ამა კან.) შემოღებულ იქნეს მიმდინარე წლის ოქტომბრის 1 დან სახელმწიფო კონტროლის ამასთანავე დართული ახალი დროებითი შტატი.

3. გაუქმებულ იქნეს ჯამაგირებისა და სხვა და სხვა საჭიროებისათვის (მუხ. 1 ამა კან.) ძველი შტატით განსაზღვრული კრედიტი.

4. იმ თანამდებობის პირებზე, რომელთათვისაც დადგენილია ახალი ჯამაგირი ამ კანონით არ ვრცელდება მოქმედება ამა წლის მაისის 20 სა და აგვისტოს 2-ის დეკრეტები ჯამაგირის მომატებისა.

1919 წ. ნოემბრის 4-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## განკარგულებანი

### მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

24 ოქტომბერი, 1919 წ. № 358.

**ინიშნებიან:** დ. ე. ხვედელიძე და მ. ნ. მშვილდაძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 359.

**ინიშნება:** პირად მდივნად მიწათ-მოქმედების მინისტრისა კონსტანტინე გამსახურდია ა. წ. 10 სექტემბრიდან.

№ 360.

**ჩარიცხული არიან სამსახურში:** ყოფილი ტოპოგრაფი ტყეების მომწყობ რაზმისა მიწის მზომლის თანაშემწე მიხეილ სიმონის ძე მახარაძე ამა წლის 1 ოქტომბრიდან. ტფილისის საშუალო კულტურულ ტეხნიკური სასწავლებლის კურს დამთავრებული ალექსანდრე იოსების ძე გრატიაშვილი ა. წ. 20 ოქტომბრიდან.

25 ოქტომბერი, 1919 წ. № 361.

**დათხოვნილია:** სკრის სახელმწიფო მამულის მოურავის თანაშემწე კ. ს. ოხიკაშვილი ა. წ. გიორგობისთვის 1-დან.

**ინიშნება:** სკრის სახელმწიფო მამულის მოურავის თანაშემწედ წინანდლის სახელ-წიფო მამულის მევენახე ნ. ზ. ბერიძე ა. წ. გიორგობისთვის 1-დან.

№ 362.

**დათხოვნილი არიან თანამდებობიდან და** სრულიად სამსახურიდან: მიწის მზომლის თანაშემწე ვოევოდკინი ა. წ. 1 ნოემბრიდან. მიწის მზომლის თანაშემწე ოგანეზოვი ა. წ. 16 ოქტომბრიდან. მიწის მზომელი მეტრეველი ა. წ. 1 ნოემბრიდან.

№ 363.

**გადაყენებული არიან თანამდებობიდან და** სრულიად სამსახურიდან: მიწის მზომელი ანსიმოვი ა. წ. 1 ნოემბრიდან. მიწის მზომლის თანაშემწე კაპანაძე ამა წლის 1-ელ ნოემბრიდან.

27 ოქტომბერი, 1919 წ. № 364.

**დათხოვნილია თანამდებობიდან და** სრულიად სამსახურიდან პასუხის გებაში მიცემით: მიწის მზომელი სომხიევი ა. წლ. 10 ოქტომბრიდან.

№ 365.

**ინიშნება:** მოსკოვის სამეურნეო აკადემიის სტუდენტი მიხეილ გვარამია წლიურ პრაქტიკანტად ტფილისის ბოტანიკურ ბაღის სელექციის კაბინეტში სამუშაოდ ა. წ. ოქტომბრის 25 ს.

№ 366.

**ინიშნება:** ევგ. ვლ. ერგარდტი მესაქონლეობის ინსტრუქტორად სახელმწიფო თავლაში მივლინებით ა. წ. ღვინობისთვის 20-დან

28 ოქტომბერი, 1919 წ. № 367.

**დათხოვნილია თანამდებობიდან და** სრულიად სამსახურიდან: მ. მ. ანდრუშკევიჩი პირველ ხარისხის ტყის გამგედ თანახმად მისი წერილობითი თხოვნისა 15 ამა გიორგობისთვიდან.

**ინიშნება:** ნ. ხ. უგრელიძე პირველ ხარისხის ტყის გამგის თანაშემწე ალბულახის სატყეო მეორე ხარისხის ტყის გამგის თანამდებობის აღმასრულებლად 15 ამა გიორგობისთვიდან.

№ 368.

**განთავისუფლებულია:** აგრონომი ელიზბარ კარბელაშვილი სასოფლო—სამეურნეო და სახელმწიფო მამულთა განყოფილების აგრონომიულ დახმარების სექციის გამგის თანამდებობიდან ა. წ. გიორგობისთვის 1-დან, მისი თხოვნის თანახმად.

30 ოქტომბერი, 1919 წ. № 369.

**ინიშნება:** ა. ნ. ხვედელიძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 370.

**განთავისუფლებულია:** სახელმწიფო ეროვნულ მამულის სექციის გამგის თანამდებობის დროებით ასრულებისაგან მიწათ-მოქმედების სამინისტროს უფროსი სპეციალისტი ერ. მ. ნაკაშიძე 17 გიორგობისთვის 1 დან, უფროს სპეციალისტად დატოვებით.

30 ოქტომბერი, 1919 წ. № 371.

**განთავისუფლებულია:** ს. ვ. სტავსკი ბაკურიანის ტყის გამგის თანამდებობიდან და

საერთოდ სამსახურიდან ავადმყოფობის გამო მისი თხოვნის თანახმად ა. წ. 1 გიორგობისთვიდან.

№ 372.

**განთავისუფლებულია:** სიმონ სანებლიძე ქუთაისის სასოფლო—სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებლის თანამდებობიდან ა. წ. ღვინობისთვის 27-დან, მისი თხოვნის თანახმად.

№ 373.

**ინიშნება:** მებაღეობის და მევენახეობის სპეციალისტად დავით გორთამაშვილი და იგზავნება წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მასწავლებლად ა. წ. 1-ელ ოქტომბრიდან.

მიწათ მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

—

**საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავარ საბაჟოსი.**

30 ენკენისთვე, 1919 წ., № 21.

**ინიშნებიან:** მთავარ საბაჟოში: ფოთის საბაჟოს ბუღალტრის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი დ. კორძაია საწყობის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, ფოთის საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწე პ. ქიქოძე ამავე თანამდებობაზე.

ფოთის საბაჟოში: მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელენი: ჭედლიძე ბუღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, ივ. მაჭავარიანი საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; მოქალაქე იუნონა დადიანი მანქანაზე გადამწერად და ამავე საბაჟოს გემის ზედამხედველის თანაშემწე დ. ხონელიძე მოლარედ.

ნატანების საბაჟოში: მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელენი: ალ. ხელიძე საწყობის ზედამხედველის თანაშემწედ, ალ. ჯაფარიძე საწყობის ზედამხედველის თანაშემწედ და ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებელი ალ. ჩიხლაძე ბუღალტრად.

სოხუმის საბაჟოში: მთავარი საბაჟოს თავისუფალი მოხელე ვალ. გერსამია ბუღალტრის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად. ნოვოროსიის უნივერსიტ. კურს დამთავრებული ელენე ანდრ. კანდიბა მანქანაზე გადამწერად 23 ივლ. 1919 წ.

ახალ-ათონის საბაჟოში: ფოთის საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი კ. ჭიჭინაძე გამგის თანაშემწედ და იგზავნება საბაჟოში შტატის გასაძლიერებლად.

ანაკლიის საბაჟოში: სახელმწიფო კონტროლის რევიზორის თანაშემწე ალ. ბახუს ძე ჩახაია გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლათ.

ვორონცოვკის საბაჟოში: ანაკლიის საბაჟოს გამგის თანაშემწე კ. ირემაძე ამავე თანამდებობაზე.

ბოგდანოვკის საბაჟოში: აბასთუმანის საბაჟოს გამგის თანაშემწე მეხი ამავე თანამდებობაზე.

**ირიცხებიან სამსახურიდან:** ფოთის საბაჟოში. ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწის დროებით თანამდებობის აღმასრულებელი დავით კანდელაკი, თანახმად მისივე თხოვნისა, 5 ენკენისთვიდან ამა წლისა.

ნატანების საბაჟოში: ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი გ. კანდელაკი, თანახმად მისივე თხოვნისა, ამა წლის 18 სექტემბრიდან.

ყველა ზემოხსენებული პირნი ინიშნებიან და გადიყვანებიან ხსენებულ თანამდებობაზე 20 სექტემბრიდან ამა წლისა, გარდა ბ. ჭედლიძისა, ვ. გერსამიასი ი. მაჭავარიანისა, ა. ხელიძისა, ა. ჯაფარიძისა და ალ. ჩიხლაძისა, რომელნიც დანიშნულნი არიან 1 სექტემბრიდან 1919 წ. და ჭიჭინაძისა, რომელიც ინიშნება 13 აგვისტოდან ამა წლისა.

გამგე **მიქაძე.**

—

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

11 ნოემბერი, 1919 წ. № 258.

**დაინიშნოს:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად კანცელარიის მეორე განყოფილების უფროსი დიმიტრი ილარიონის ძე წითლანაძე ა. წ. ნოემბრის 1-დან.

დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლათ **გ. ჟორდანია.**

—

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.**

№ 264.

**დაინიშნოს:** სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის კონტროლიორად ნოდარ რომანოზის ძე ქინქლაძე ამა წლის 8 ნოემბრიდან.

ფინანსთა მინისტრის ამხ. **ს. ავალიანი.**

№ 365.

**დაინიშნოს:** სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის საწყობის გამგეთ ალექსი სოლომონის ძე კვალიაშვილი ამა წლის 8 ნოემბრიდან.

10 ნოემბერი, 1919 წ. № 266.

**დაინიშნოს:** სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის კონტროლიორად ესიხი ნიკოლოზის ძე ცინცაძე ამა წლის 8 ნოემბრიდან.

—

**საქართველოს სენატის თავმჯდომარისა.**

12 ნოემბრის, 1919 წ. № 18.

**დათხოვნილია:** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის კანცელარიის მოხელე ელისაბედ დავით ლოლობერიძის ასული 11 ნოემბრიდან 1919 წლისა თანახმად მისი თხოვნისა.

№ 19.

**ინიშნება:** პარასკევა ბეჟლარ კორძაიას ასული სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის კანცელარიის მოხელედ 11 ნოემბრიდან 1919 წლისა.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე **დ. ხელთუფლიშვილი.**

—

**საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის პროკურორისა.**

8 ნოემბერი, 1919 წ. № 3.

თამარა სოლომონის ასული ბახმეტიევისა ინიშნება სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის პროკურორის კანცელარიის მოხელედ ა. წ. 1 ილ ნოემბრიდან.

პროკურორი **მ. მღვდლიშვილი.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## იუსტიციის სამინისტროში

**ბოლშევიკების საქმის გამოძიება.**

ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილებათა საერთო კრებამ, თანახმად იუსტიციის სამინისტროს წინადადებისა, ბოლშევიკების გამოსვლის საქმეების გამოძიება ქუთაისის გუბერნიაში დაავალა ოლქის სასამართლოს წევრს ქიქიშვილს.

**შინაურ წესით გაყიდულ მამულებისთვის.**

იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი დეკრეტისა სასამართლოებში წარმოებულ იმ საქმეების შეჩერების შესახებ, რომლებიც შეეხება შინაურ წესით გაყიდულ მამულების უკან დაბრუნებას. პროექტი მიღებულია რესპუბლიკის მთავრობის მიერ და გადაეცემა დამფუძნებელ კრებას.

**სასამართლო უწყების ახალი შტატები.**

დამფუძნებელ კრების იურიდიულმა კომისიამ განიხილა და მოიწონა იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სასამართლო უწყების ყველა და წვრილმანთა ახალი შტატები. კომისიის მიერ მოწონებული შტატები გადაეცემა დამფუძნებელი კრების ფინანსიური კომისიას, შემდეგ კი დამფუძნებელ კრებას.

**მოხსენებანი ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორისა.**

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ ოქტომბრის 27-ს ბოროტგამზრახველთ მოუკლავს სოფელ ჩირჭიში მცხოვრები გრიგოლ ანუჩარის ძე ყუფუანი. ბოროტგამზრახველი ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არაა. მიღებულია ზომები. გამოძიება წარმოებს.

ნოემბრის 3-ს მოხდა შეიარაღებული თავდასხმა ს. ნებოძირში მცხოვრებ გიგო ლაცაბიძეზე. წაღებულია 4000 მ. ერთი ბოროტგამზრახველი შეპყრობილია დანარჩენების შესაპყრობლად მკაცრი ზომებია მიღებული. მსხვერპლი არ ყოფილა.

## საგარეო საქ. სამინისტროში

**ო. უორდროპის მადლობა.**

ბრიტანიის უმაღლესმა კომისარმა ამიერ-კავკასიაში ოლივერ უორდროპმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ნოემბრის 11 შემდეგი წერილი გამოუგზავნა:

გთხოვთ მიიღოთ და გადასცეთ თქვენ კოლეგებს ჩემი მხურვალე მადლობა კახეთში იმ მშვენიერ მოგზაურობისთვის, რომლის საშუალებაც მე მომეცით.

ყველაფერი მშვენივრათ იყო მოწყობილი და შესრულებული მამუკა ორბელიანის და კახეთის რკინის გზის უფროსის ხელმძღვანელობით.

მე დიდათ მასიამოვნა სრულმა წესრიგმა და ყველგან არსებულმა კეთილდღეობის და მუშაობის ნიშნებმა.

სიტყვებს ვერ ვპოულობ მადლობის გამოსათქმელათ ყველა მათდამი, ვინც მე მხურვალეთ მესალმებოდა.

კეთილ ინებეთ და გულწრფელი მადლობა გადაეცით ყველას, ვინც მონაწილეობას იღებდა ამაში: ბოდბესა, სიღნაღსა, თელავსა, წინანდალსა და სხვა მრავალ ადგილებში. ესენი იმდენათ ბევრნი არიან, რომ მათი ჩამოთვლა შეუძლებელია.

გულწრფელათ თქვენი **უორდროპი.**

## მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

**სამინისტროს სამკითხველო.**

მიწათ მოქმედების სამინისტროს სამკითხველო, რომელსაც მრავალ სპეციალური შინაარსის წიგნები მოეპოება, დიდ დახმარებას უწევს ერობებს, საზოგადო ორგანიზაციებს და კერძო პირებს, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობას. ამ უკანასკნელ ხანებში ერობები აწყობენ საკუთარ წიგნთსაცავებს, რისთვისაც წიგნებს მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამკითხველოდან ღებულობენ. ამავე სამკითხველოში სარგებლობენ სტუდენტები იმ წიგნებით, რომელიც ბაზარზე საყიდლათ არ მოიპოვება. სამაგიეროდ სამკითხველო ვერ იძენს ახალ წიგნებს რადგანაც ბაზარზე ასეთები აღარ მოიპოვება.

## შინაგან საქ. სამინისტროში.

**აჯანყების ხელმძღვანელთა დახვრეტა.**

აჯანყებაში მონაწილეობის და ხელმძღვანელობისათვის საველე სასამართლომ დუშეთის მაზრაში დახვრეტა გადაუწყვიტა ხუთს, გორის მაზრაში—შვიდს. ყველა დახვრიტეს.

**თათბირი ყაჩაღობასთან ბრძოლის შესახებ.**

ამ დღეებში განსაკუთრებული თათბირი მოხდა შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით და რაიონის კომისრებისა და მილიციის უფროსების მონაწილეობით ყაჩაღობასთან ბრძოლის შესახებ. თათბირზე გამოირკვა, რომ რესპუბლიკის ზოგ კუთხეში მცხოვრებნი ყაჩაღთა ტერორის ქვეშ იმყოფებიან, რადგან ხშირად საკმაო ფორმალურ საბუთთა უქონლობის გამო ყაჩაღებს საპატიმროდან ან თავისუფლებენ. გამოირკვა აგრეთვე, რომ გამომძიებელთა სიმცირის გამო, უკანასკნელნი საქმეს ვერ აუდიან. დასასრულ თათბირმა დაისახა მთელი რიგი ზომებისა ყაჩაღობასთან საბრძოლველად.

**ყაჩაღობა ნეიტრალურ ზონაში.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ რომ ნეიტრალურ ზონაში ბოლო დროს ფეხი მოიკიდა ყაჩაღთა ბრბომ, რომელსაც მეთაურობს ვინმე „ქორაქი". ეს ბრბო სისტემატიურად თავს ესხმის მოსაზღვრე სოფლებს, გზებზე აყენებს მცხოვრებლებს და სძარცვავენ.

**იარაღის ნებართვის მიცემის შემცირება**

იარაღის ნებართვის ახალი წესის შემოღების შემდეგ, ბოლო დროს ძალიან შემცირდა იარაღის სატარებლად ნებართვის მიცემა.

**ცნობების მიწვდენის შესახებ.**

იუსტიციის სამინისტრომ თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა დიდი შემთხვევების და ბოროტმოქმედებათა შესახებ ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ხოლმე საბრალმდებლო და საგამომძიებლო ნაწილს.

## შრომის სამინისტროში

**საავადმყოფო კასაში ფულის შეტანის შესახებ.**

შრომის კომისარმა მისწერა წარმოებათა მეპატრონეებს, რათა დააჩქარონ ტფილისის საერთო საავადმყოფო კასაში მუშებისაგან ხვედრი საავადმყოფო ფულის შეტანა. ამასთანავე შრომის კომისარმა გააფრთხილა მეპატრონეები, რომ თუ ორი კვირის განმავლობაში არ იქნა ფული შეტანილი საავადმყოფო კასაში, მათ წინააღმდეგ ზომები იქნება მიღებული.

—

## დამფუძნებელი კრება

(დასასრული)

**სამ. ფირცხალავა (ს.-ფ.დ.).** ჩვენ შევიძლიან მხოლოდ მარტივად და მოკლეთ მივესალმოთ ამ ხელშეკრულებას, სხვანაირად ვერ მოიქცევა ვერც ერთი მამულიშვილი, რომელსაც გათვალისწინებული აქვს დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა და მომენტი. კედიას სიტყვაში აშკარად გამოსჭვივის იმპერიალისტურ პოლიტიკისადმი მიდრეკილება (გვაზავა ადგილიდან: თქვენ არ გესმით ალბათ იმპერიალიზმი!) მე კარგად მესმის იმპერიალიზმი და ისიც ვიცი, როგორც დიდი ერების დიდ კაცებს აქვთ იმპერიალიზმისკენ მიდრეკილება, ისე პატარა ერების პატარა კაცუნებსაც აქვთ სურვილი სხვისი დაპყრობისა (ტაში), თუ ამიერ-კავკასიის ერთა შორის იქნება ჩამოვარდნილი შუღლი და მტრობა, მაშინ ამ რესპუბლიკებს თავისუფლად არსებობა არ შეუძლიანთ, ამ რესპუბლიკების კეთილდღეობის თვალსაზრისით აუცილებელია კავშირი, ერთობა, სოლიდარობა ღ ურთიერთ ინტერესის გაგება, ამიტომ წარმოდგენილი ხელშეკრულება აუცილებლად უნდა დადასტურებული იქნას.

**გრ. ვეშაპელი (ნაციონ. პარტ.)** აღნიშნავს, რომ ადერბეიჯანსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებას და წარმოდგენილ ხელშეკრულებას შორის დიდი განსხვავებაა იქ მხედველობაში მიღებულია პოლიტიკური მომენტი, აქ კი არა. აი ეს პოლიტიკური შეთანხმება, საჭიროებული არ არის წარმოდგენილ ხელშეკრულებაში და ამიტომ არბიტრაჟი რჩება უშინაარსო დეკრეტათ. ჩვენთვის უფრო მისაღები იქნებოდა ეს ხელშეკრულება წარმოდგენილიყო დამფუძნებელ კრებას. მაშინ, როცა ტფილისის კონფერენცია დაასრულებდა შეთანხმების ყველა საქმეებს. ისე კი ნაციონალისტური თვალსაზრისით ამ ხელშეკრულების მიღება არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, ვინაიდან ბოლოს და ბოლოს ყველ ფაქტს რეალური ძალთა განწყობილება.

**ლ. შენგელაია (ს.-რ.)** აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმება სასიხარულო მოვლენააო. საქართველოს დემოკრატიის მისწრაფებამ გაიმარჯვა და დღეს უკვე გვაქვს ხელშეკრულება, რომლის ძალით ყოველგვარი სადაოსაკითხი შეთანხმებით, ან საგანგებო არბიტრაჟით უნდა გადაწყდეს. ამიერიდან უარყოფილია ომი და ეს მოვლენა ჩვენ გვახარებს. ჩვენ აუცილებლად საჭიროთ ვცნობთ ამ ხელშეკრულების დადასტურებას.

**რ. არსენიძე (ს. დ.).** მოსალოდნელი იყო, რომ ის მარტივი საკითხი, რომელიც ერთხელ პრინციპიალურად უკვე იყო გადაჭრილი, დღეს დავას და კამათს არ გამოიწვევდა, საკითხი იმის შესახებ, რომ მორიგება ერთა და სახელმწიფოთა შორის, განსაკუთრებით წვრილ ერთა შორის არის უმთავრესი საფუძველი მათი თვით არსებობისა, დამოუკიდებლობის და ხალხის განვითარების, უდაოთ იყო მიღებული როცა ჩვენ დავამტკიცეთ ადერბეიჯანთან დადებული ხელშეკრულება. დღეს კი იგივე საკითხი, იგივე ძირითადი დებულება საკამათოდ გამხდარა. შესაძლებელია ეს იყოს შედეგი იმ ფსიქოლოგიური განწყობილებისა, რომელიც დაბადა ჩვენსა და სომხეთის შორის ქომხდარმა შეტაკებამ, მაგრამ პოლიტიკური მოღვაწე ვალდებულია მაღლა დადგეს წარმავალ, დროებით მოვლენაზე და ისე გადაჭრას საკითხი.

დღევანდლამდე ასეთ არბიტრაჟს გაურბოდა ერთი მხარე, გაურბოდა არა ჩვენი მთავრობა და რესპუბლიკის წარმომადგენელნი, არამედ სომხეთი, და მე ვაცხადებ, რომ როდესაც ხელშეკრულებაში აღნიშნული პრინციპი მიიღო ჯერ ადერბეიჯანმა, შემდეგ კი სომხეთმა, ეს არის დიდი გამარჯვება იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი მთავრობა. ამიერ-კავკასიაში საშიშია მხოლოდ შინაური მტერი, შინაური ბრძოლა და ამიტ. ყოველი ნაბიჯი, რომელიც ამ ბრძოლის ტალღებს აგვაცილებს და მშვიდობიან გზას მიგვიახლოვებს, უნდა იყოს მიღებული მთელი დამფუძნებელი კრების მიერ აღტაცებით და სიხარულით, ამ აქტს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისათვის: გაკვეთილი ამიერ კავკასიის სხვეული რამოდენიმე თვის შემდეგ მთელდებიან, უბრუნდებიან ერთმანეთს და ცდილობენ არსებობის საფუძვლის გამონახვას, ეს უდიდესი აქტია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცხოვრებაში. აღებულია ისეთი გზა, რომელიც გადაარჩენს ამიერ-კავკასიას ბალკანეთის ბედს და აღკვეთს ბედის საბურთაოდ. მათთვის, ვინც ამას მოინდომებს.

ჩვენ არ გვეშინია არბიტრაჟის და არც შეთანხმების. პოზიცია, რომელსაც ჩვენ დავიჭერთ იქნება სწორი და შეურყეველი და სწორედ ეს გვაბედვინებს დავსვათ საკითხი არბიტრაჟისა და შეთანხმებისა ამისი მე მგონია, არც კედიას ეშინია, მას ეშინია იმისა, რომ საქართველოში არ შეიქმნება ისეთი ფსიქოლოგიური განწყობილება ერისა, რომელიც ასულდგმულებს გ. კედიას და მის

ჯგუფს. ჩვენი სურვილია, რომ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა განვამტკიცოთ იმდენად, რომ საშუალება მოგვეცეს მთელი ჩვენი ენერგია, სახელმწიფოებრივი უნარი მოვახმაროთ ჩვენი ერის თავისუფლების განმტკიცებას და მის ნამდვილ განვითარებას შეთანხმება და ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა: ეს არის მთავარი ღერძი ჩვენი ცხოვრებისა, მთავარი ბურჯი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბურჯის გამაგრებისათვის ყველამ უნდა ჩაქუჩი დაჰკრას, რომ ის დარჩეს მაგარი, მტკიცე და შეურყეველის (ტაში).

გ. გვაზავა (ნ. დ.) არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ ეს ხელშეკრულება ჩვენთვის სასარგებლო შთაბეჭდილებას მოახდენს ევროპაში, მაგრამ მას აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია ტექსტში შესწორების შეტანა. საჭიროა გამონაკლისათ იქნას ცნობილი ერის სასიცოცხლო ინტერესები. ამ საკითხებს ვერ გადავსცემთ არბიტრაჟს, ჩვენ უნდა უთხრათ ხალხს, რომ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა სისხლის დაღვრა აუცილებელია.

გ. თევზაია (ს. დ.) უპასუხებს გვაზავას და ამბობს, რომ გვაზავას მიერ აღნიშნული საკითხების გამონაკლისათ დატოვება არბიტრაჟისაგან შექმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ ყველა სადაო საკითხები გამოცხადებულ იქნებოდა ერის სასიცოცხლო საკითხათ და ომი აუცილებელი შეიქნებოდა. ჩვენ დღევანდელ პირობებში კარგს ომს ცუდი ზავი გვირჩევნია. ამ უკანასკნელ ხანებში ევროპაში არის ტენდენცია ისეთი მდგომარეობის და განწყობილების შექმნისა, როცა ომი არ იქნება საჭირო. ამ დებულებას იცავენ არა მარტო სოციალისტები, არამედ ბურჟუაზიული დემოკრატებიც. თქვენ კი ბ. კედიის ჯგუფო, როგორც ჩანს ჩამორჩით თქვენს ევროპიელ თანამოაზრეებს (ტაში).

ტერ სტეფანიანცი (დაშნაკ). ჩვენი ფრაქცია, ესე იგი ფრაქცია დაშნაკცუტუნისა, გულწრფელს სალამს უძღვნის საქართველოს და სომხეთის შორის დადებულ ხელშეკრულებას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს დიდი ნაბიჯი გაადვილებს სოლიდარობას საქართველოსა და სომხეთის დემოკრატიის შორის (ტაში).

მომხსენებლის სიტყვის შემდეგ პროექტი რატიფიკაციისა მიღებულ იქნა.

კ. ჯაფარიძე მოახსენებს კრებას მეორე ხელშეკრულების შესახებ თავისუფალი ტრანზიტისა.

ს. კედია აღნიშნავს, რომ ეს ხელშეკრულება სომხეთს დიდ უპირატესობას აძლევს, საქართველოს ამ დათმობის კომპენსაციათ ჯერ არაფერი მიუღიათ.

გრ. ვეშაპელი აცხადებს, რომ ის თავს შეიკავებს კენჭის ყრის დროს, ვინაიდან არ იცის თუ რას მისცემს საქართველოს კონფერენციის მუშაობა მომავალში.

მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა პროექტი რატიფიკაციისა საქართველოსა და სომხეთ შორის დადებულ სატრანზიტო ხელშეკრულებისა.

## საქართველოს გემები ბათუმის ნავთსადგურში.

საქართველოს კონსულმა ქ. ბათუმში ბ-ნ სამხედრო გუბერნატორისაგან 5 ნოემბრის თარიღით შემდეგი მოწერილობა მიიღო:

„საქართველოს რესპუბლიკის ბ-ნ კონსულს ბათუმში“.

მოწყალეო ხელმწიფევ!.

თქვენი წერილის საპასუხოდ მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ბათუმის პორტში შეუძლიათ შემოვიდნენ სავაჭრო გემები, რომლებზედაც საქართველოს დროშა იქნება აფრიალებული. ამ გემებმა უნდა გადაიხადონ საპორტო გადასახადები და მათ უნდა ჰქონდეთ საჭირო საბუთები და ნებართვა საქართველოს მთავრობისაგან.

კანონიერი სავაჭრო ურთიერთობა ბათუმსა და საქართველოს შავიზღვის ნავთსადგურთა შორის ძლიერ სასიამოვნოა და ყოველი გემი საქართველოს დროშით ბათუმის ნავთსადგურში ჰპოვებს ბრიტანეთის მფარველობას.

ბრიგადის გენერალი, სამხედრო

გუბერნატორი კუკ კოლისი.

ამ მოწერილობის გამო საქართველოს კონსულმა შემდეგი დეპეშები გაგზავნა:

„ქალაქის თავებს და ნავთსადგურის უფროსებს ფოთში, ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალათონში, გუდაუთში და გაგრაში.

მოხდა შეთანხმება ჩემსა და სამხედრო გუბერნატორ ბ-ნ კუკ-კოლის შორის შემდეგში: ყველა გემებს, რომლებიც საქართველოს დროშით დასცურავენ და რომელთაც აქვთ საქართველოს მთავრობისაგან ნებართვა და სხვა საჭირო საბუთები უფლება აქვთ ბათუმის ნავთსადგურში შესვლისა. მათ გარანტია ეძლევათ თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობისა ბათუმსა და საქართველოს ნავთსადგურების შორის და აგრეთვე ბრიტანეთის მფარველობისა, ბათუმის ნავთსადგურში დგომის დროს. გემების კაპიტნები გემის ბათუმში შესვლის დროს უნდა გამოცხადდნენ ჩემთან რეგისტრაციისათვის და გემის საბუთებით. იმ გემებისაგან, რომლებიც თქვენ ნავთსადგურში შემოვლენ ბათუმიდან, უნდა მოითხოვოთ ჩემ მიერ შემოწმებული სანიტარული პატენტი.

კონსული კ. ჩინჩალაშვილი.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილება

(ტფილისის გაწმენდისათვის)

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მოწყობილ თათბირზე მინისტრის თავმჯდომარეობითა და იუსტიციისა და შრომის მინისტრისა და ტფილისის ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელთა თანადასწრებით, ბინისა და სურსათის კრიზისის გამო დაადგინა: სხვა საშუალებათა შორის, რომლითაც თავი უნდა დავაღწიოთ კრიზისს,—საჭიროა ქალაქი ტფილისი განთავისუფლდეს ისეთი ელემენტებისაგან, რომელნიც ან თავიანთი მოქალაქეობით, ან თავიანთი პროფესიით დაკავშირებულნი არ არიან ქალაქთან, და თავიანთი სიმრავლით კი ქალაქს ავიწროვებენ, ამ მოსაზრებით თათბირმა გადაწყვიტა განსაზღვრულ დროში გასწმინდოს ქალაქი უცხო, არა ქვეშევრდომ ელემენტებისაგან, რაიცა ვრცელდება აგრეთვე ასეთსავე პირობებში მყოფ ქართველებზე. ამავე დროს მიღებულ იქნა მხედველობაში, რომ ამ საქმის წესიერად შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრატიული ძალების მიერ სახლის პატრონებზე, მდგმურებზე და სხვა უცხო ელემენტებზე,—დაადგინა პასუხისმგებლობის აუცილებლობა იმ პირებისა, რომელნიც ამას არ შეასრულებენ.

მთავრობის განკარგულების თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა:

1) ყველა ის უცხო ქვეშევრდომი და აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ქართველი მოქალაქენი, რომელნიც დაკავშირებული არ არიან ტფილისთან სახლის მფლობელობით ან განსაზღვრული ვაჭრობით, ან მრეწველობით, ან სამსახურით სახელმწიფო და საზოგადო უწყებებში, ან კერძო დაწესებულებებში,—ვალდებულნი არიან დასტოვონ ქალაქი ამ დადგენილების გამოქვეყნების ორი კვირის შემდეგ, უცხოელები ვალდებული არიან საქართველო დასტოვონ, ხოლო ქართველნი ჩაეწერონ თავიანთ ადგილებში.

შენიშვნა. ზემო მოყვანილი 1 მუხლი ეხება იმათაც, რომელთაც აქვთ ვაჭრობა მრეწველობისათვის სათანადო მოწმობა, მაგრამ შესაფერისი სავაჭრო და სამრეწველო საწარმოო არარა აქვთ.

1 შენიშვნა. თუ ოჯახის მეთაური რესპუბლიკის გარედ ცხოვრობს, ოჯახის უმცროს წევრს რესპუბლიკის საზღვრებში ცხოვრების უფლებას არ აძლევს.

3. სახლის მოიჯარადრენი, მათი პასუხისმგებელი გამგენი, მდგმურნი, სასტუმროს, ავეჯიან სახლების და სხვა დაწესებულებათა პატრონნი ვალდებულნი არიან ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან 3 დღის განმავლობაში წარადგინონ სათანადო კომისარიატში ცნობები მათს სახლებსა და ბინებში მცხოვრებ იმ პირთა ვინაობა, რომელზედაც ეს დადგენილება ვრცელდება.

შენიშვნა 2. პირველ მუხლში მოყვანილი დადგენილება არ ეხება უმუშევარ მუშებს, რომელნიც ჩაწერილი არიან შრომის ბირჟაში ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე.

2. ოჯახები იმ უცხოელ ქვეშევრდომთა, რომელნიც ოჯახის მარჩენლნი არიან, და თავის სამსახურის გამო რესპუბლიკას გარედ ცხოვრობენ, ვალდებულნი არიან დასტოვონ ქალაქი ტფილისი აქ პირველ მუხლში აღნიშნულ დროის განმავლობაში.

4. ის პირნი, რომელთაც ამ დადგენილების ძალით ტფილისში ცხოვრების უფლება აქვთ ვალდებულნი არიან აიღონ სათანადო უფროსებისაგან, ან მილიციის უფროსისაგან მოწმობა მათი პროფესიის შესახებ და წარუდგინონ, როგორც სახლებში, ისე ქუჩებში, მილიციის მოხელეთ და ქალაქის მართველობის კონტროლიორებს მათი პირველი მოთხოვნილებისთანავე.

5. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი, როგორც სახლის, ისე ბინის პატრონნი და სხვა, მესამე მუხლში აღნიშნული პირნი, იქნებიან ადმინისტრატიული წესით დასჯილნი, ჯარიმით 10,000 მანეთამდე, ან 3 თვე ციხეში დატუსაღებით და ამას გარდა გაძევებულ იქნებიან ეტაპის საშუალებით რესპუბლიკის საზღვრებიდან, ხოლო რესპუბლიკის მოქალაქენი იმ ადგილას, სადაც ისინი მიწერილი არიან.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

## გვარდიის მთავარ შტაბში

**აბაშის გვარდიელთა დეპეშა.**

აბაშის გვარდიელთა ერთსულოვანი სურვილის და მოთხოვნილების თანახმად გთხოვთ საჭიროების დროს თავგანწირულ შინაურ მტრების წინააღმდეგ პირველ რიგში გაიწვიოს აბაშის გვარდიელები. წამოვაყენებთ ას რჩეულ გვარდიელს. რაიონში მისაბაძი წესრიგია.

შტაბის თავმჯდომარე ფანცულაია.

**ოსეთის აჯანყების მეთაურის ჰაიდაროვის დატუსაღება**

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ხაშურიდან დეპეშით აუწყებენ:

„გაუწყებთ, რომ ჩვენ მიერ დატუსაღებულ იქნა აჯანყების ცნობილი მეთაური კავკაველი ოსი ჰაიდაროვი. ერთი გვარდიელი ფეხში დაიჭრა. გაბუნია, მაჭავარიანი, სალუქვაძე და სიხარულიძე.

**ლომიძის მოკვლა**

ხაშურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს აუწყებს: 14 ნოემბერს ნაშუადღევს 2 საათზე მოკლულ იქნა ლომიძე ორი ამხანაგებით.

## მაჩვენებელი.

**საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის**

საკრებულოს სხდომაში 1919 წლ. 21 ნოემბერს დან შენიშნულია განსახილველად საკასაციო წესით შემდეგი საქმეები. (სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე მიხეილ გიორგის ძის ახალშედაშვილისა მარიამ ხრუშჩევისასთან, პირადათ დ როგორც მეურვისა პიროვნების და ქონების ომლიზისა: ევგენია. ვასილი და ბარბარე ხრუშჩოვებისა და თამარა გიჩჩილაძისა, მამულის საკუთრების უფლების თაობაზედ.

2. საქმე არუთუნ კარაპეტის ძე ვანცვანცისა დაუდ, იგივე დავით, მიხეილის ძის და მიხეილ ნახიმას ძის ლოპკოვსკებთან და შაიგვე ისაია, ფრომის ძის იაკერთან 24092 მანეთის 7 კაპ. თაობაზედ.

3. საქმე გრიგოლ მარტიროსიანცის და იაკობ არამოვის შორის ხელის მოწერის სიყალბეზე აღძრულ დავის შესახებ.

4. საქმე ანნა ლორთქიფანიძისა გარდაცვალებულის გიორგი ანტიპარმაკ ოღლის, იგივე ბერძნიშვილის, ქონების მეურვეობასთან და ქუთაისის ელლინთა საზოგადოებასთან ანდერძის გაბათილების თაობაზე.

5. საქმე ნინა, ტარიელ და სხვა ლორისმელიქოვებისა და სოფიო ნოვიკოვისასი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქთან 24000 მან. თაობაზე.

6. საქმე არტემ ისიდორეს ძის ხარებავასი ყარამან ემუხვართან მამულის თაობაზე.

7. საქმე ოლღა დანილჩენკოვისასი კახეთის მევენახეთა საზოგადოებასთან 5000 მანეთის თაობაზე.

## სომხეთთან ხელშეკრულების დადების გამო

**ბ-ნი ხატისოვის მადლობა.**

სომხეთის მთავრობის თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა საქართველოს სამხედრო მინისტრს ნ. რამიშვილს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა.

„ყარსის ოლქის შემოვლის დროს საპატიო ყარაული დამახვედრა არდაგანის ქართულმა სამხედრო ნაწილმა. გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ, როგორც სამხედრო მინისტრს იმ გულითად დახვედრისთვის, რომელიც მე გამიკეთეს, როგორც სომხეთის მთავრობის წარმომადგენელს. დარწმუნებული ვარ, რომ მეზობელ ხალხის შორის დადებული ხელშეკრულება მიგვიყვანს საქართველოს და სომხეთის ხალხის და ჯარის სრულ ძმობამდე.

**ნ. რამიშვილის პასუხი.**

„გულწრფელ მადლობას გიძღვნით თქვენი მისალმებისა და არდაგანში მდგარ ჩვენი ჯარისადმი თქვენ მიერ ყურადღების გამოჩენის გამო. დარწმუნებული ვარ, რომ ორი მოძმე ერის და მათი ჯარების მდგომარეობა და ერთობა, რასაც დაედო საფუძველი უკვე ხელშეკრულებებით, დღითი დღე უფრო განმტკიცდება და განვითარდება.“

## შესწორება

13 ნოემბრის № 257 „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისადმი განკარგულებაში დაშვებულია შემდეგი კორექტურული შეცდომა:

დაბეჭდილია „გადაყენებულნი არიან“, უნდა იყოს „გადაყვანილი არიან“.

იმავე ნომერში უკანასკნელ გვერდზე მოთავსებულ ბათუმის ოლქის დაწესებულებებთან ფოსტა-ტელეგრაფის ურთიერთობის დაწესების შესახებ განცხადებაში დაბეჭდილია „ქუთაისიდან 5000 მანეთამდე“—უნდა იყოს ხულთასიდან 5000 მანეთამდე“.

## ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგად. გამგეობა

საზ. წესდ. 73 § თანახმად ამით აცხადებს რომ 1919 წლის 23 დეკემბერს, დილის 11 საათზე, გამგეობის შენობაში, საკუთარ სახლში, პუშკინის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაუმეორებლად უძრავი მამული ქვემო ჩამოთვლილ პირთა, მათ მიერ საზოგადოებიდან აღებულ სესხზე ხვედრი გადასახადის შემოუტანლობის გამო, ტფილ. სამოქალაქო საკრედიტო საზოგადოების წესდების §§ 11, 12 და 13 ძალით გაიყიდება. ეს ვაჭრობა, თუ უშედეგო იქნა, მეორედ და უკანასკნელად მოხდება 1919 წ. დეკემბრის 30, იმ შემთხვევაში, თუ პირველი და მეორე ვაჭრობა ვერ დასრულდა დეკემბრის 23 და 30, 1919 წ., ვაჭრობა მოხდება შემდეგ დღეებში.

2870. სოგომონოვი ავაქი და შამირი, სამი ნაჭერი ზომით $132^1/_2$ ოთხკ. საჟ. და ხუროთმოძღვ. გაზომით 190 კვ. საჟ., ორი სამსართ. სახლით; მეხუთე უბ., ხლებნოი და გეორგიევსკის მოედნის კუთხეში და ფეთხაინის ქუჩა. კაპ. ვალი 34,443 მან. 24 კ. გადასახ. 11,144 მან. 34 კ.

3052. ბაბლუმოვი იოსებ, მიწის ნაჭერი ზომით 73 კვ. საჟ., ანდა რამდენიც აღმოჩნდება შენობებით მეორე უბ. ბანკის (თეატრის) და ყრუ შესახვ. კაპ. ვალი 13,325 მან. 28 კ. გადასახადი ვალი 3872 მან. 34 კაპ.

3594. სოგომონოვი ავაქი, მიწის ნაჭერი, ზომით 181 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება ერთ სართულიან სახლით და ქვის სარდაფით, მეორე უბ. პანასევიჩის ქ. კაპ. ვალი 4738 მ. 70 კ. დარჩ. გადასახადი 1424 მ. 88 კ.

4445. პაპაშვილი დავით, მიწის ნაჭერი, ზომით 100 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით მე 6 უბ. მირზოევის და სეთდაბატის ქ. კაპ. ვალი 4146 მან. 03 კ. დარჩ. გადასახადი 901 მან. 99 კ.

5167. ვარძიგულოვისა ალექსანდრა, მიწის ნაჭერი ზომით 72 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება ორ სართ. სახლით, ერთი ორ სართულ. და ერთი ერთ სართ. ფლიგელებით მე 7 უბ. პოკროვის ქ. № 18, კაპ. ვალი 5281 მან. 61 დარჩ. გადას. 1200 მან. 23 კაპ.

5446. ზლატაგორსკი აბრამ და ქელიძე გიორგი, მიწის ნაჭერი, ზომით 1088 კვ. საჟ. 8 არშ. და 120 ვერ. კვ., ან რამდენიც აღმოჩნდება, შენობებით, მე 6 უბ. ვორონცოვის ქ. კაპ. ვალი 26,870 მან. 31 კაპ. დარჩა გადასახადი 2948 მან. 95 კ.

6623 ნესმაშნი ივანე, მიწის ნაჭერი, ზომით 300 კვ. საჟ. ხუროთმოძღვ. აღწერით—241 კვ. საჟ. შენობებით მეხუთე უბ., ვორონცოვის ქ. კაპ. ვალი 8763 მან. 47 კაპ. დარჩ. გადასახადი 757 მან. 82 კ.

6625. ტერ ნერსესოვები ანასტასია (ტასია) და შუშანიკა. მიწის ნაჭერი, ზომით 45 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება, შენობებით მე 8 უბ., არსენალის გზატკეცილზე, კაპიტ. ვალი 2142 მან. 18 კ. დარჩა გადას. 65 მ. 20 კ.

6646. ენფიაჯიანცი ტიგრან, მიწის სამი ნაჭერი, პირველი ზომით 1 დეს. 240 კვ. ს., მეორე 600 კვ. ს., მესამე 975 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება, შენობებით 1 უბ. ვერაზე კაპ. ვალი 97,761 მან. 82 კაპ. დარჩ. გადასახადი 3811 მან. 29 კ.

6689. მარდანიძე ნადეჟდა, გიორგი, ოლღა და ბორის, მიწა ზომით 90 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება, შენობებით 1 უბ. ვარლოსუბნის ქ. კაპ. ვალი 3938 მან. 22 კ. დარჩა გადასახადი 50 მან. 02 კ.

7103 მელიქ ფანიაევა ეკატერინე, მიწის ნაჭერი, ზომით 270 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება, მეორე უბ. პროექტირ. ქ. კაპ. ვალი 2959 მ. 63 კ. დარჩ. გად. 223 მ. 99 კ.

7123. ფეფელოვები აგრაფენა, ეკატერინე, ვასილ, მიხეილ, ნიკოლოზ, პეტრე და ალექსანდრე, გრუშენკო მარიამი, პროხანოვა ანასტასია, მიწის ნაჭერი, ზომით 231 საჟ. 2 არ. კვ. ან რამდენიც აღმოჩნდება, მეათე უბ. ელიზაბედისა და კიროჩნი ქ. კუთხეში, კაპ. ვალი 98.724 მან. 84 კაპ. დარჩ. გადას. 5772 მან. 94 კ.

ვაჭრობა დაიწყება ზემო აღნიშნულ ვალის გადასახადის ხვედრი ფულის, დამატებით საერთო ჯამით; ამასთანავე მამულზე შერიცხული საქალაქო გადასახადი, აგრეთვე საერობო, სახელმწიფო და სახაზინო გადასახადების შეტანა მყიდველთა ვალდებულება იქნება. საზოგადოებისადმი კაპიტალური ვალი შეიძლება გასწორდეს საზოგადოების ობლიგაციებით შესაფერათ სესხზე მათი ნომინალურ ღირებულების მანეთი მანეთზე აგრეთვე შეიძლება გადავიდეს მყიდველებზე, საწრეფო გადასახადი და სხვა გადაუხდელი კი გასწორდება ნაღდ ფულზე.

წესდების § 73 თანახმად ვაჭრობის დაწყებამდე მოვალეს უფლება ეძლევა შეიტანოს გადაუხდელი ფული პროცენტებითა ვადის გასვლისათვის და ყველა გასავალი, რომელიც დასჭირდა მამულის ვაჭრობაში დანიშვნას და ამით განთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ყველა ქაღალდი, საბუთი, რომელიც ეხება გასაყიდველ მამულს მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ, აგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები და ამბავი ვაჭრობის პირობათა შესახებ საზოგადოების გამგეობაში დილის ათ საათიდან შუადღის ორ საათამდე, კვირა და ტაბელის დღეების გარდა. 77 3—2

## განცხადებანი

კარაპეტ არუთინის ძე ტევანიანცი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი № 93, აღებული 1913 მარტის 4 კიხილ, კოჩის სოფლის საზოგადოებიდან (ალექსანდროპოლის მაზრა). პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
116 3—2

დარია ბარისის ასული ერთობაშვილი (იგივე მხარძელოვა) აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1914 წ. ნოემბრის 27-ს, რეესტრი 3459. 93 3—2

ანდრო ივანეს ძე აბაშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული მ. ხუთეველთა გიმნაზიიდან, მისი იქ სამსახურის შესახებ, აღებული 24 ოქტომბერს 1919 წ. № 513 და ჩაითვალოს გაუქმებულათ.
127 3—2

დაკარგულია მატრიკული № 748 აღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან დავით ბადრიძეს მიერ. რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
131 3—2

გრიგოლ სიმონის ძე კუნჭულია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მატრიკული მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მატრიკული გაუქმებულათ ითვლება.
130 3—2

ნიკოლოზ ცხვედიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის კომისარიატიდან აღებული პასპორტი და პირველ ქართულ ლეგიონიდან აღებული სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ბარათი. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
106 3—3

დაკარგულია სიმწიფის მოწმობა, მიცემული ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიიდან 7 ივნისს 1913 წ. № 975 იაკობ ისიდორის ძე რამიშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 123 3-3

უპატრონო ბაგაჟი: აქტი სადგ. ტფილისი № 2370-რიგ. № 568- 1ც-5ფ- ტვირთი: ბორჯომიდან-ტფილისი, რიგ. № 652 სატვ. ბარ. № 99638 16 ც. ცარიელი ბოჩკები წონ 32 ფ. ბორჯომიდან ტფილისი, რიგ. № 648 სატვ. ბარ. № 99516 21ც. ცარიელი ტომრები-28ფ. 30 გ.
102 3—2

დაკარგულია პასპორტი № 3867, აღებული აზერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის კანცელარიიდან ამა წლის სექტემბრის 30. ერვანდ პოღოსის ძე სტეფანიანცის მიერ, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
103 3—3

გიორგი ლუკას ძე მოველიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ტფილისის ყოფილ პოლიცმეისტრის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
98 3—3

ვარლამ სოფრომის ძე მიმინოშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 167, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
96 3—3

# ნუსხა
## პირველ ქართულ ლატარიის მოგებულ ბილეთებისა.

| სრ. №№ | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 219 | 209—100 | 368—100 | 140—100 | 363—100 | 30—100 | 386—100 |
| 220 | 4—250 | 424—100 | 460—100 | 289—100 | 249—100 | 74—100 |
| 221 | 490—100 | 170—100 | 167—100 | 445—100 | 64—250 | 474—100 |
| 222 | 214—100 | 132—100 | 364—100 | 272—500 | 180—100 | 452—100 |
| 223 | 481—100 | 377—100 | 421—100 | 278—100 | 209—100 | 378—100 |
| 224 | 468—100 | 187—100 | 1—100 | 66—100 | 12—100 | 94—250 |
| 225 | 440—100 | 299—100 | 108—100 | 348—100 | 383—100 | 336—100 |
| 226 | 42—100 | 181—250 | 131—100 | 479—100 | 292—100 | 4[illegible]9—100 |
| 227 | 205—100 | 246—100 | 176—100 | 375—100 | 303—100 | 478—250 |
| 228 | 408—100 | 65—100 | 94—100 | 316—100 | 327—250 | 279—100 |
| 229 | 303—100 | 431—100 | 232—100 | 122—100 | 23—100 | 292—100 |
| 230 | 199—100 | 16—100 | 395—100 | 6—100 | 358—100 | 500—500 |
| 231 | 469—100 | 449—100 | 379—100 | 187—100 | 474—100 | 344—100 |
| 232 | 489—100 | 245—100 | 486—250 | 204—250 | 23—100 | 114—100 |
| 233 | 245—100 | 250—100 | 160—100 | 388—100 | 310—100 | 198—1.000 |
| 234 | 27—100 | 4[illegible]3—100 | 257—100 | 440—100 | 312—100 | 128—100 |
| 235 | 260—100 | 475—100 | 347—100 | 482—100 | 452—100 | 125—100 |
| 236 | 128—100 | 64—250 | 372—100 | 81—100 | 293—100 | 276—100 |
| 237 | 221—100 | 4[illegible]6—100 | 222—100 | 332—100 | 388—100 | 450—100 |
| 238 | 167—100 | 134—100 | 162—100 | 261—100 | 135—100 | 314—100 |
| 239 | 21—100 | 103—100 | 490—100 | 118—100 | 351—100 | 468—100 |
| 240 | 498—100 | 148—500 | 117—100 | 258—100 | 335—100 | 195—250 |
| 241 | 253—100 | 432—250 | 400—100 | 244—250 | 279—100 | 19—100 |
| 242 | 473—250 | 204—100 | 199—100 | 364—100 | 187—100 | 305—100 |
| 243 | 150—100 | 202—100 | 212—100 | 343—100.000 | 116—100 | 254—100 |
| 244 | 391—100 | 120—100 | 394—500 | 102—100 | 236—100 | 473—250 |
| 245 | 256—100 | 246—100 | 353—100 | 461—250 | 33—100 | 396—250 |
| 246 | 406—500 | 29—100 | 25—100 | 52—100 | 240—100 | 484—100 |
| 247 | 110—100 | 462—100 | 375—100 | 148—250 | 168—100 | 351—100 |
| 248 | 114—100 | 343—100 | 204—100 | 359—100 | 261—100 | 223—100 |
| 249 | 365—100 | 389—100 | 96—100 | 283—100 | 420—100 | 310—100 |
| 250 | 106—100 | 368—100 | 410—100 | 319—100 | 360—100 | 20—250 |
| 251 | 415—100 | 40[illegible]—100 | 118—100 | 373—100 | 495—100 | 270—100 |
| 252 | 47—100 | 287—100 | 58—100 | 326—100 | 286—100 | |
| 253 | 57—100 | 42—100 | 289—100 | 70—100 | 309—100 | 174—100 |
| 254 | 395—100 | 25—250 | 129—100 | 2—100 | 422—500 | 268—250 |
| 255 | 201—100 | 249—100 | 130—100 | 220—250 | 133—100 | 170—100 |
| 256 | 140—250 | 181—100 | 2—100 | 116—250 | 287—100 | 459—100 |
| 257 | 6—100 | 109—100 | 11—100 | 156—100 | 462—100 | 52—100 |
| 258 | 215—100 | 286—100 | 399—100 | 88—100 | 485—100 | 375—100 |
| 259 | 263—100 | 308—100 | 309—100 | 56—100 | 175—100 | 155—100 |
| 260 | 168—250 | 1—100 | 270—100 | 493—100 | 356—100 | 60—100 |
| 261 | 238—500 | 484—100 | 104—100 | 92—100 | 302—100 | 218—100 |
| 262 | 359—100 | 112—100 | 86—100 | 315—250 | 167—100 | 10—100 |
| 263 | 53—100 | 5—100 | 5[illegible]—100 | 484—100 | 414—100 | 188—100 |
| 264 | 373—100 | 136—100 | 277—100 | 289—100 | 1[illegible]5—100 | 493—100 |
| 265 | 81—100 | 342—100 | 4[illegible]3—100 | 412—250 | 28—100 | 175—100 |
| 266 | 31—100 | 288—100 | 500—250 | 4—100 | 368—100 | 87—100 |
| 267 | 196—100 | 452—100 | 345—100 | 144—100 | 380—100 | 90—100 |
| 268 | 230—250 | 48—100 | 223—100 | 150—100 | 367—100 | 163—100 |
| 269 | 134—100 | 73—100 | 168—100 | 108—100 | 153—250 | 241—100 |
| 270 | 184—100 | 42[illegible]—100 | 439—100 | 310—250 | 417—100 | 247—100 |
| 271 | 270—100 | 82—100 | 482—100 | 279—100 | 349—100 | 120—250 |
| 272 | 338—100 | 29—100 | 297—100 | 192—100 | 358—100 | 392—100 |
| 273 | 15—500 | 336—100 | 332—100 | 431—100 | 339—500 | 338—250 |
| 274 | 64—100 | 242—100 | 30—250 | 328—100 | 14—100 | 82—100 |
| 275 | 181—100 | 403—100 | 261—100 | 399—100 | 386—100 | 1[illegible]8—100 |
| 276 | 154—100 | 258—100 | 150—100 | 205—100 | 357—100 | 230—250 |
| 277 | 129—100 | 23—100 | 477—100 | 127—100 | 213—100 | 353—100 |
| 278 | 297—100 | 482—100 | 45[illegible]—100 | 61—100 | 360—250 | 156—100 |
| 279 | 470—100 | 134—100 | 247—500 | 94—100 | 167—100 | 116—100 |
| 280 | 93—100 | 434—250 | 99—250 | 262—100 | 483—100 | 498—100 |
| 281 | 302—100 | 176—100 | 230—100 | 209—100 | 245—100 | 300—100 |
| 282 | 235—100 | 148—100 | 370—100 | 159—250 | 442—500 | 124—250 |
| 283 | 368—100 | 207—100 | 10—100 | 483—100 | 39—100 | 2—500 |
| 284 | 112—100 | 154—250 | 351—100 | 294—100 | 475—100 | 453—100 |
| 285 | 455—100 | 290—100 | 124—100 | 425—250 | 325—100 | 143—100 |
| 286 | 95—100 | 125—100 | 302—100 | 453—100 | 307—100 | 84—100 |
| 287 | 250—100 | 7—100 | 106—100 | 229—100 | 109—250 | 306—100 |
| 288 | 36—100 | 154—100 | 73—100 | 167—100 | 381—100 | 106—100 |
| 289 | 378—100 | 191—250 | 259—100 | 109—100 | 232—100 | 381—100 |
| 290 | 18—100 | 323—100 | 146—100 | 198—100 | 72—250 | 95—100 |
| 291 | 360—100 | 229—100 | 486—100 | 135—250 | 112—100 | 58—100 |
| 292 | 458—100 | 213—100 | 498—100 | 456—100 | 130—100 | 332—100 |
| 293 | 381—100 | 473—100 | 429—100 | 235—100 | 316—100 | 175—100 |
| 294 | 164—100 | 9—100 | 470—100 | 317—250 | 222—100 | 489—250 |
| 295 | 118—100 | 414—100 | 457—250 | 280—250 | 48—100 | 494—100 |
| 296 | 417—100 | 373—100 | 254—100 | 401—100 | 334—100 | 147—100 |
| 297 | 142—100 | 438—100 | 255—100 | 441—50.000 | 194—100 | 486—250 |
| 298 | 55—100 | 135—100 | 473—100 | 158—100 | 277—250 | 470—100 |
| 299 | 194—250 | 477—100 | 236—500 | 365—100 | 100—100 | 214—100 |
| 300 | 451—100 | 273—100 | 118—100 | 227—100 | 347—100 | 299—100 |
| 301 | 335—100 | 91—100 | 115—100 | 129—100 | 367—100 | 483—100 |
| 302 | 51—100 | 57—100 | 220—100 | 127—100 | 187—100 | 312—100 |
| 303 | 82—100 | 483—100 | 119—250 | 157—100 | 398—100 | 71—100 |
| 304 | 89—100 | 185—100 | 306—250 | 14—250 | 130—100 | 133—100 |
| 305 | 409—100 | 478—100 | 232—100 | 120—100 | 336—100 | 184—100 |
| 306 | 460—100 | 147—100 | 46—100 | 216—100 | 415—100 | 305—100 |
| 307 | 151—100 | 55—100 | 344—100 | 14—100 | 35—250 | 327—250 |
| 308 | 487—100 | 6—100 | 114—100 | 119—250 | 46—100 | |
| 309 | 482—100 | 195—100 | 119—100 | 460—500 | 430—100 | 202—100 |
| 310 | 78—100 | 124—100 | 221—100 | 436—250 | 121—100 | 377—100 |
| 311 | 309—250 | 298—100 | 275—100 | 120—100 | 139—100 | 408—100 |
| 312 | 39—250 | 267—100 | 467—100 | 123—100 | 366—100 | 219—100 |
| 313 | 76—250 | 317—100 | 400—100 | 380—100 | 329—100 | 257—100 |
| 314 | 446—100 | 333—100 | 343—100 | 233—100 | 185—100 | 362—100 |
| 315 | 283—100 | 178—100 | 451—100 | 139—250 | 375—100 | 426—100 |
| 316 | 358—100 | 345—100 | 382—100 | 324—100 | 359—100 | 172—100 |
| 317 | 135—100 | 75—100 | 474—100 | 433—100 | 272—100 | 145—100 |
| 318 | 162—100 | 199—100 | 17—100 | 307—100 | 405—100 | 378—100 |
| 319 | 138—100 | 275—100 | 494—100 | 195—100 | 165—100 | 40—100 |
| 320 | 437—100 | 321—100 | 366—100 | 297—1.000 | 395—100 | 379—100 |
| 321 | 383—100 | 497—250 | 111—250 | 379—100 | 166—100 | 258—100 |
| 322 | 353—100 | 183—100 | 139—100 | 25—100 | 244—100 | 363—100 |
| 323 | 316—100 | 54—100 | 23—100 | 105—500 | 3—100 | 397—100 |
| 324 | 156—100 | 89—100 | 347—250 | 65—100 | 403—100 | 463—100 |
| 325 | 325—100 | 38—100 | 206—100 | 306—100 | 240—250 | 272—100 |
| 326 | 324—100 | 493—500 | 24—100 | 103—100 | 122—100 | 30—100 |
| 327 | 33—250 | 83—100 | 103—100 | 454—100 | 191—100 | 63—100 |

გაგრძელება იქნება.

გერასიმე ჯიშკარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული [illegible] სამხედრო უფროსისაგან 1917 წ. მოწმობა გაუქმებულად ითვლება. 145 3—1

ქ. ტფილისის მესამე უბნის გამომძიებელი აცხადებს, რომ მარიამ ფილიპეს ასული კოკოჩაშვილი, რომელსაც ბრალდებოდა ვერა ორისკაია-კორსაკოვას ნივთების მოპარვა, დამნაშავე არ აღმოჩნდა. ის პასუხისგებაში არ არის და განთავისუფლებულია.

ქ. ტფილისის მესამე სამომრიგებლო უბნის ბოქაული გეგეჭკორი აცხადებს, რომ 1919 წ. ნოემბრის 26 ს დილის 10 ს. მესამე განყოფილებაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ნიკოლოზ პალიაშვილის უძრავ ქონებაზე, რომელიც აწერილია გევორქ გრიგორიანცის ვალის დასაკმაყოფილებლათ აღმასრულებელი ფურცლით. ქონება შეიცავს საწერ მანქანას და გრამოფონს, შეფასებული 1500 მან.
124 1—1

სოხუმის პირველი სამომრიგებლო უბნის მოსამართლე აცხადებს, რომ 1919 წ. აგვისტოს 5 ს დადგენილებით, ვექილობა, მიცემული ელენე სიმონის ასულ გაჩუნიას მიერ იასონ ნიკოლოზის ძე იუბოქიაზე და შედგენილი სოხუმის ნოტარიუს გეგელაშვილთან 1919 წ. ივნისის 13-ს, რეესტრი № 4184, გაუქმებულია. 1498 1—1

ახალქალაქის სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს ს. ხორენოს ახალქ. მაზ., მცხოვრებთ მარკოზ და ერვანდ სარქისიანცების მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება სარქისიანცების ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
1618

ქ. ტფილისის მე 3 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მიხეილ მიხეილის ძე კინის იგივე კიუნი, მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება კინის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 72 1—1

ქ. ტფილისის მე 18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ევგენი ვასილის ძე სოლოვკოვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავიანთი უფლება სოლოვკოვის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.
73 1—1

მომრიგებელი მოსამართლეთა სოხუმის ყრილობა, ექვსი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან, იწვევს იმ პირთ, რომელთაც პრეტენზია აქვთ განსაცხადებელი სოხუმის მეორე სამომრ. უბნის ყოფილ ბოქაულზე ბუკინზე. 3 1—1

ჭყონდიდის საეპარქიო სასამართლო ამით აცხადებს, რომ მასში 1919 წ. მარტის 6-ს შეიტანა თხოვნა ქ. ფოთის მცხოვრებმა ეკატერინე ლავრენტი მარკოვიჩის ასულის გეგელიასი განქორწინებაზე მეუღლე დიმიტრი ივანეს ძის გეგელიასაგან. მოხსენებული მეუღლენი არიან დაქორწინებულნი 1916 წ. ღვინობისთვის 11-ს ახალციხის წმ. გიორგის ტაძარში მე 397 საველე სათადარიგო გოსპიტლის მღვდლის ანტონ ფირცხალავას მიერ. მთხოვნელის, ეკატერინე ლავრენტის ასულის გეგელიას, განცხადებით მას გაშორდა მეუღლე დიმიტრი ივანეს ძე გეგელია 1917 წლის დამდეგს ქ. ხონში და მას აქეთ [illegible], მთხოვნელს არა აქვს თავის ქმარზე არავითარი ცნობა ამ განცხადების ძალით ყველა, რომელსაც მოეპოვება ცნობა დიმიტრი ივანეს ძის გეგელიას საცხოვრებელ ადგილზე, ვალდებულია აცნობოს ამაზე ორი თვის განმავლობაში ჭყონდიდის საეპარქიო სასამართლოს ქ. ფოთში.
88 1—1

სისხლ. სამ. წარმ. წეს. მე— 846, 837, 848 და 851 მუხლ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით ეძებენ ქ. ტფილისის მოქალაქე ნიკოლოზ ლომიძეს, რომელსაც ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 3 ნ. 1655 მუხ. 2 და 5 პ. 1659 და 1 და 1669 მუხ. სასჯ. დებ. დაკარგულის ნიშნები გამოურკვეველია. ყველა, ვინც იცის ნიკოლოზ ლომიძის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი სამეურვეო გამგეობას. 040 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობის.

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე